დანართი 18
დამტკიცებულია
შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიის დირექტორის
2026 წლის 23 [illegible]ლის №11 ბრძანებით

შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიაში პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს წესი არეგულირებს შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიაში (შემდგომში - კოლეჯი) პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და კოლეჯის შენობასა და ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესსა და პირობებს.

1.2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელია კოლეჯის მედდა რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

1.3. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას კოლეჯში უზრუნველყოფენ კოლეჯის დამლაგებლები და მეეზოვე.

2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

2.1. კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებულებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კანონმდებლობით დაშვებულ პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას.

2.2. პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაბამისი ინვენტარი განთავსებულია კოლეჯში, მედდის ოთახში.

2.3. პირველადი გადაუდებელი დახმარების კარადაში ინახება საჭირო სამედიცინო ინვენტარი, სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებები და მედიკამენტები.

2.4. პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

2.4.1. კოლეჯში დასაქმებულებს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს გაუწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;

2.4.2. გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია კოლეჯის ხელმძღვანელობას, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში, ასევე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს;

2.4.3. პრევენციის მიზნით, გასცეს ინფორმაცია ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების შესახებ ან/და მითითებები მათი გავრცელების თავიდან აცილების პირველადი ღონისძიებების თაობაზე;

2.4.4. აკონტროლოს კაბინეტში არსებული სამედიცინო საშუალებების ხარჯვა და ვარგისიანობა, ასევე სამედიცინო ინვენტარის გამართული ფუნქციონირება;

2.4.5. აწარმოოს გამოყენებული სამედიცინო საშუალებების აღრიცხვა, სპეციალურ ფორმაში ინფორმაციის ელექტრონულად ან სპეციალურ ჟურნალში შეტანის გზით;

2.5. პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს კაბინეტში განთავსებულ მატერიალური ფასეულობების, მათი შენახვის/გამოყენების წესების დაცვას.

3. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა

3.1. დამლაგებლები კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით უზრუნველყოფენ:

3.1.1. კოლეჯის შენობაში სასწავლო ოთახების, სახელოსნოების, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახების, სასადილოს, მშრალი და სველი წესით დალაგებას ყოველდღიურად;

3.1.2. კოლეჯში არსებული სველი წერტილების სპეციალური ქიმიური საშუალებებით

ზედმიწევნით დასუფთავებას, საპირფარეშოებში ტუალეტის ქაღალდების, ხელსახოცებისა და საპნის დროულ განთავსებას, დღეში ორჯერ.

3.1.3. კოლეჯის ტერიტორიიდან ნაგვის გატანას და სანაგვე ურნების გასუფთავებას ყოველდღიურად.
3.1.4. კოლეჯის შენობის კიბეების, ვესტიბულისა და დერეფნის სველი წესით დალაგებას ყოველდღიურად.
3.1.5. სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციას დადგენილი გრაფიკის შესაბამისად;
3.2. მეეზოვე კოლეჯის ეზოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით უზრუნველყოფს:
3.2.1. კოლეჯის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიის დალაგებას ყოველდღიურად;
3.2.2. კოლეჯის ეზოდან ნაგვის გატანასა და სანაგვე ურნების გასუფთავებას.

4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი

კოლეჯის დამლაგებლების მიერ კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლს ახორციელებს კოლეჯის მატერიალური რესურსების მენეჯერი.